# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №115/2
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დაბა ჩაქვი „07" 05 2015 წელი

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი აპარატის უფროსის რამაზ ბოლქვაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „კავკასუს მოტორსი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი წიკლაურის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს დამტკიცების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 2014 წლის 05 მაისის №115 ხელშეკრულებაში (SPA140010248) ცვლილებების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატსა და შ.პ.ს. „კავკასუს მოტორსი"-ს შორის 2015 წლის 07 მაისს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, (SPA140010248) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 2014 წლის 05 მაისის №115 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, იმავე ტარიფებით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 2014 წლის 05 მაისის №115 ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი საგარანტიო გეგმიური ფასიანი მომსახურების ღირებულების აუთვისებელი თანხის ფარგლებში, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი საგარანტიო გეგმიური ფასიანი მომსახურების შეუსრულებელ ნაწილში, ვაფორმებთ წინამდებარე „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულებას შემდეგზე:

### მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") - შესყიდვის განმახორციელებელი პირი.

1.4. "მიმწოდებელი"–პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

### მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

2.1. შემსყიდველი, მისი უფლებამოსილი პირების მეშვეობით, ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საქონლისა და თანმდევი მომსახურების მიღების ადგილზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე პერიოდში ახორციელებს ტექნიკურ კონტროლს, რათა დარწმუნდეს მის შესაბამისობაში მიმწოდებლის მიერ SPA140010248 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

2.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირები არიან:

**პლატონ მანჯგალაძე** – სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების უფროსი;

**ზვიად ფარტენაძე** – სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლისა თუ დეფექტის აღმოფხვრა.

### მუხლი 3. ხელშეკრულების ობიექტი (საგანი)

3.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ ადრე შესყიდული და მის ბალანსზე მყოფი, ერთი ერთეული, მსუბუქი მაღალი გამავლობის **„MITSUBISHI OUTLANDER"**-ის მარკის ავტომობილის ჩანაცვლების წესით (სანაცვლოდ), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 2014 წლის 05 მაისის №115 ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ახალი *(ექსპლუატაციაში არ მყოფი)*, ერთი ერთეული, სედანის ტიპის მსუბუქი **„MITSUBISHI LANCER"**–ის მარკის ავტომობილისათვის თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების შესყიდვა **– CPV 50100000.**

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 2014 წლის 05 მაისის №115 ხელშეკრულების საფუძველზე ერთი ერთეული, მსუბუქი მაღალი გამავლობის **„MITSUBISHI OUTLANDER"**–ის მარკის ავტომობილის ჩანაცვლების წესით (სანაცვლოდ) მიწოდებული ერთი ერთეული, სედანის ტიპის მსუბუქი **„MITSUBISHI LANCER"**–ის მარკის ავტომობილისათვის თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების გაწევა (შემდგომში „თანმდევი მომსახურება"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი „თანმდევი მომსახურება" და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.3. შესასყიდი „თანმდევი მომსახურების" აღწერა, თანმდევი საგარანტიო და თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების პირობები და ღირებულება, (SPA140010248) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 2014 წლის 05 მაისის №115 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, განისაზღვრება დანართის მიხედვით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

### მუხლი 4. „თანმდევი მომსახურების" მიწოდების წესი, ადგილი და ვადები

4.1. თანმდევი საგარანტიო გეგმიური ფასიანი მომსახურების მოწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მითითებულ სერვის ცენტრებში.

4.2. თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების მიწოდება განხორციელდება (SPA140010248) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" 2014 წლის 05 მაისის №115 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული კილომეტრაჟისა და ფასების მიხედვით. მიმწოდებელმა გეგმიური მომსახურების ჩატარება უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის დაფიქსირებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. შესყიდული თანმდევი საგარანტიო, გეგმიური ფასიანი მომსახურების მიღება მოხდება ეტაპობრივად, (SPA140010248) მარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ 2014 წლის 05 მაისის №115 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული კილომეტრაჟის მიხედვით, ყოველ ჯერზე გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად.

4.4. მიღება–ჩაბარების აქტები გაფორმდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი დასკვნების საფუძველზე.

**მუხლი 5. ხელშეკრულების ღირებულება**

5.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს **3205 (სამიათას ორას ხუთი)** ლარს.

5.2. ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებაში შედის თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების ღირებულება, რომელიც წინ ამდებარე ხელშეკრულების დანართში მოც ემულია ცხრილის სახი თ და (SPA140010248) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ 2014 წლის 05 მაისის №115 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაანგარიშებულია 100000 (ასიათასი) კილომეტრ გარბენზე.

5.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა თანმდევ ხარჯს, დაკავშირებულს თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს. კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

**მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები:**

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

6.2. თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, 100000 (ასი ათასი) კილომეტრამდე გარბენის ფლობის პერიოდზე გათვლილი, ცხრილით *(კალკილაციით)* განსაზღვრული კილომეტრაჟისა და ფასების• შესაბამისად, ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიხედვით, ყოველ ჯერზე გაწეული მომსახურების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

•ავტომობილის თანმდევი საგარარანტიო პირობის ამოწურვამდე (100000 კმ. გარბენა) ფლობის განმავლობაში გეგმიურ ფასიან ტექნიკურ მომსახურებაზე შპს „კავკასუს მოტორსი“-ს მიერ საგარანტიო სერვისით გათვალისწინებულ საქონელსა და თანმდევ მომმსახურებაზე გაწეული ფასები შეიძლება დაკონვერტირდეს *№SPA140010248 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ელექტრონული ვაჭრობის დღისთვის ფიქსირებული ეროვნული ბანკის კურსით აშშ დოლარში, ხოლო ანგარიშსწორებისას ეროვნულ ვალ;უტაში - საქონლისა და თანმდევი მომსახურების ფაქტიური მიწოდების ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.*

**მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

7.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს მიმწოდებლისაგან „თანმდევი მომსახურების“ გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ვადებში;

ბ) მოითხოვოს მიმწოდებლისაგან შესასყიდი „თანმდევი მომსახურების“ დროულად და ხარისხიანად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

გ) მოითხოვოს მიმწოდებლისაგან „თანმდევი მომსახურების“ მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია მიიღოს მოთხოვნილი „თანმდევი მომსახურება“ და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში.

7.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოითხოვოს ფაქტობრივად მიწოდებული და ჩაბარებული „თანმდევი მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში.

7.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს „თანმდევი მომსახურება“ ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში;

ბ) უზრუნველყოს შესასყიდი „თანმდევი მომსახურების“ დროულად და ხარისხიანად შესრულება, დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

გ) შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს „თანმდევი მომსახურების“ მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

**მუხლი 8. დაუძლეველი ძალა**

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხერშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა**

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის თანხმობით, ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაშვებულია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ,,შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

## მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა შეთანხმება;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

10.2. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.3. მხარე ვალდებულია ხუთი კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## მუხლი 11. დავის გადაწყვეტის წესი

11.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2 (ნოლი მთელი ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით.

12.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

12.4.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ივნისამდე.

## მუხლი 14. განსაკუთრებული პირობები

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული ჯამური ღირებულების მთლიანად აუთვისებლობის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს, აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებად ჩაითვლება ფაქტიურად ათვისებული თანხა, რაც ცალკე წერილობით შეთანხმებას აღარ საჭიროებს.

14.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს ჯარიმის თანხის სრულად დაფარვის მომენტამდე, ანგარიშსწორების ნაწილში საბოლოო ანგარიშსწორებამდე.

14.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და კოორდინატორი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება მიმწოდებელს, ხოლო ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან.

## მუხლი 15. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო
მის.: დაბა ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს სახაზინო სამსახური
სახაზინო ანგარიში № GE62TB7901736010100015
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749
მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22

აპარატის უფროსი
_________ რ. ბოლქვაძე

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს. „კავკასუს მოტორსი"

მის.: მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქუჩა
/აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი
ანგარიშის №GE72BG0000000892044300
მიმღების ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 436 031 768

დირექტორი
_________ გ. ქალანდაძე

2015 წლის 07 [illegible] № 115/2 ხელშეკრულების დანართი

(თანმდევი საგარანტიო მომსახურება – CPV 50100000)

| № | დასახელება (გაანგარიშება გათვლილია 10000 კმ. გარბენის ფლობის პერიოდზე) | ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურება | 1000 კმ. | 10000 კმ. | 20000 კმ. | 30000 კმ. | 40000 კმ. | 50000 კმ. | 60000 კმ. | 70000 კმ. | 80000 კმ. | 90000 კმ. | 100000 კმ. | ჯამი (ლარი): |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავის ზეთის ფილტრი | 30 | 15 | – | – | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 405 |
| 2 | ჰაერის ფილტრი | 120 | – | – | – | 120 | – | 120 | – | 120 | – | 120 | – | 120 | 600 |
| 3 | წინა სამუხრუჭე ხუნდა | 240 | 20 | – | – | – | 260 | – | – | 260 | – | – | 260 | 260 | 1040 |
| 4 | უკანა სამუხრუჭე ხუნდა | 180 | 20 | – | – | – | – | – | 200 | – | – | – | – | 200 | 400 |
| 5 | სალონის ფილტრი | 80 | 20 | – | – | – | – | 100 | – | 100 | – | 100 | – | 100 | 400 |
| 6 | ანთების სანთელი (4 ცალი) | 40 | 20 | – | – | – | – | – | 180 | – | – | – | – | 180 | 360 |
| | ჯამი (ლარი): | – | – | – | – | 165 | 305 | 265 | 425 | 525 | 45 | 265 | 305 | 905 | 3205 |

„შემსყიდველი“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

მის.: დაბა ჩაქვი, მეჯვრიშვილის ქ. №25
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749

აპარატის უფროსი

რ. ბოლქვაძე

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „კავკასუს მოტორსი“

მის.: მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქუჩა /აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი
საიდენტიფიკაციო კოდი: 436 031 768

დირექტორი

გ. კალანდაძე